


ABOUT HIV

ჰეპატიტის და ტუბერკულოზის მკურნალობა

აივი არის მდგომარეობა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება. სხვადასხვა დროს, მრავალმა ადამიანმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ აივი-ის გარდა მათ ჯანმრთელობის სხვა მდგომარეობისათვისაც ესაჭიროებათ მკურნალობა.

აივი-ის და სხვა დაავადებების მკურნალობა უნდა იყოს კოორდინირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესაძლოა არსებობდეს მედიკამენტებს შორის ურთიერთქმედება. თუ თქვენ სხვადასხვა ექიმებთან მკურნალობთ, მაშინ საჭიროა მათ შორის დამყარდეს კომუნიკაცია.

კერძოდ, აივი-ის მქონე მრავალ ადამიანს ასევე ესაჭიროებათ ვირუსული ჰეპატიტების და ტუბერკულოზის მკურნალობა.



ჰეპატიტი

B ჰეპატიტი და C ჰეპატიტი არის ორი სხვადასხვა ვირუსული ინფექცია, რომელიც მოქმედებს ღვიძლზე.

ჯანსაღი ღვიძლი მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც აივი აქვს. ღვიძლი არის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანო, რომელიც სისხლიდან ფილტრავს მავნე ნივთიერებებს, გამოაქვს საკვებიდან მკვებავი ნივთიერებები, გამოიმუშავებს ცილებს და ჰორმონებს. მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია წამლების და პრეპარატების გადამუშავებაში.


ღვიძლი შეიძლება დაზიანდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მიღების გამო. იგი შეიძლება ასევე დაზიანდოს B ან C ჰეპატიტის ვირუსულმა ინფექციამ. მკურნალობის გარეშე B და C ჰეპატიტები სერიოზული ინფექციებია და მათ შეუძლიათ

გამოიწვიონ ღვიძლის ციროზი ან კიბო.

თქვენ შეგიძლიათ ერთდროულად ჩაიტაროთ როგორც ჰეპატიტის, ასევე აივი-ის მკურნალობა. აივი-ის მკურნალობა უსაფრთხო და ეფექტურია იმ ადამიანებისთვის, ვისაც აქვთ B ან C ჰეპატიტი.

ფაქტიურად, აივი-ის საწინააღმდეგო ზოგი მედიკამენტი ასევე ეფექტურია B ჰეპატიტთან მიმართებაში, ისინი ორგანიზმში B ჰეპატიტის ვირუსის დონეს ამცირებენ. თქვენ და თქვენმა ექიმმა უნდა შეარჩიოთ ის კომბინაცია, რომელიც შეიცავს მედიკამენტებს, რომლებიც როგორც აივი-ის ასევე B ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

C ჰეპატიტის მკურნალობის რეჟიმები სწრაფად იცვლება. თუმცა უახლესი მეთოდები არ არის ხელმისაწვდომი ყველა ქვეყანაში. უფრო ძველი მეთოდი, როგორც წესი, არის ყოველკვირეული ინექციების და ყოველდღიურად მისაღები ორალური აბების კომბინაცია. ეს მეთოდი ეფექტურია მრავალი პაციენტისათვის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა გამოვლინდეს არასასიამოვნო გვერდითი მოვლენები. ახალ სამკურნალო რეჟიმებში გამოიყენება მხოლოდ ყოველდღიური აბები. ისინი თითქმის ყველასათვის ეფექტურია და მათ ახასიათებთ ნაკლები გვერდითი მოვლენები. რამდენიმე თვის მკურნალობის შემდეგ შესაძლებელია ინფექციის სამუდამოდ უკუგდება.



ტუბერკულოზი

ტუბერკულოზი (ტბ) არის ბაქტერიოლოგიური ინფექცია, რომლის მიმართ აივი-ინფიცირებულები დაუცველები არიან, იმ შემთხვევაში, როდესაც მათი იმუნური სისტემა დასუსტებულია.

ბაქტერია გადაიცემა ერთი ადამიანიდან მეორეზე ჰაერის მეშვეობით. როგორც წესი, იგი აინფიცირებს ფილტვებს, თუმცა შესაძლებელია სხვა ორგანოების დაინფიცირებაც (მაგალითად ძვლები და სახსრები).

www.pro-vich.info და www.about-hiv.info შემუშავებულა შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით. თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCRU-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

ABOUT HIV

ჰეპატიტის და ტუბერკულოზის მკურნალობა

ჯანსაღი იმუნური სისტემის მქონე ადამიანების სხეულში შეიძლება ბუდობდეს ბაქტერია, მაგრამ მათ შეუძლიათ ინფექციაზე კონტროლის შენარჩუნება. დასუსტებული იმუნური სისტემის შემთხვევაში კი (მაგალითად აივი მკურნალობის გარეშე) შეუძლებელია კონტროლის შენარჩუნება.

თუ თქვენ დაავადდით ტუბერკულოზით, თქვენ ალბათ დაგჭირდებათ როგორც აივ-ის, ასევე ტუბერკულოზის მკურნალობა.

- ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მეშვეობით თქვენ გათავისუფლდებით ბაქტერიისგან და განიკურნებით ტუბერკულოზისგან. როგორც წესი, მკურნალობა ექვსთვიანია, თუმცა შესაძლებელია უფრო დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდეს.
- ანტირეტროვირუსული მედიკამენტები ამცირებს მომავალში ტუბერკულოზით განმეორებით დაინფიცირების რისკს. ისინი აძლიერებენ თქვენს იმუნიტეტს.

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით.

თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com

UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220